მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

# ვაქცინა და ანტიქრისტეს ბეჭედი

## არის თუ არა ვაქცინა ანტიქრისტეს ბეჭედი?

თბილისი 2022წ.

# არის თუ არა ვაქცინა ანტიქრისტეს ბეჭედი?

ჩვენ მიერ უკვე გამოქვეყნებულ წერილებსა და გამოშვებულ ბროშურებში ვწერდით ცრუ პანდემიის გამოცხადების, ვაქცინებისა და ვაქცინაციის, მწვანე პასპორტებისა და სხვა შემზღუდავი ზომების დაწესების შესახებ, რომლებიც იმიტომ განახორციელეს ჩრდილოვანი პოლიტიკური ელიტის წამომადგენლებმა და მათმა მოკავშირე ციფრულმა და ფარმაცევტულმა გიგანტებმა, რომ შექმნან წინაპირობა ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად, მაქსიმალურად შემოიღონ და დანერგონ ანტიქრისტეს სტანდარტები და მისი მოსვლისათვის გზა მაქსიმალურად "გაასუფთავონ", შეამცირონ მოსახლეობა, მიიღონ კოლოსალური ფინანსური მოგება და ა.შ. ხელოვნური კორონავირუსის შემუშავებისა და გავრცელების გზით ისინი ახდენენ სხვადასხვა მოდელების ტესტირებას, საზოგადოების ქცევათა შესწავლას, ადამიანთა ცნობიერების მომზადებას მათთვის სასურველი მიმართულებით.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ცრუ კორონა–პანდემიის დასრულების შემდეგ იქნება უფრო მომსვრელი და ვერაგი დაავადების გავრცელების მცდელობა, რაც შექმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს ხსენებული მიზნების მისაღწევად. მსოფლიო მართვის ახალი მექანიზმების შემუშავების მცდელობა კი უკვე დაიწყო. ამის მტკიცების საშალებას გვაძლევს 2021წ. 1 დეკემბერს გამართული მსოფლიო ჯანდაცვის ასამბლეის სესია, მასზე გაჟღერებული განზრახულობები და მიღწეული შეთანხმებები.

ხსენებული სესიის დღის წესრიგი იყო: დაჩქარებულად შემუშავდეს და დამტკიცდეს დოკუმენტი, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობა მოაწერს ხელს. ეს დოკუმენტი პირველ რიგში ითვალისწინებს პანდემიის ოფიციალურად გამოცხადებას მსოფლიო მასშტაბით. გამოდის, რომ აქამდე პანდემია ოფიციალურად არ ყოფილა გამოცხადებული და ამ ნიშნითაც იყო ის ცრუ პანდემია. საგანგაშო კი ის არის, თუ როგორ აიტაცეს ქვეყნებმა და მათმა ხელისუფლებმა არგამოცხადებული, უკანონო პანდემია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯმო) მიერ არასწორი, სინამდვილეში კი ადამიანთა ხოცვის რეკომენდირებული "მკურნალობის" მეთოდები, დააწესეს შემზღუდავი ზომები, რითაც ჩამოშალეს ეკონომიკები, გააწამეს და გაამწარეს ქვეყნის მოსახლეობა და ყოველივე ამით ხელი შეუწყეს მათ გენოციდს. ასიათასობით სიკვდილი ჯმო–სა და ქვეყნის ხელისუფალთა კისერზეა (სინდისს საგანგებოდ არ ვამბობთ, რადგან ევჭი გვეპარება, რომ მათ უმრავლესობას ის გააჩნდეს!).

პანდემიის გამოცხადებისა და დაუყოვნებელი რეაგირების საჭიროების საბაბით სახელმწიფოთა მთავრობები ხელმოწერით დაუდასტურებენ და გადასცემენ ჯმო– მსოფლიოში პანდემიის მართვის ერთპიროვნულ უფლებას.

ეს ნიშნავს: მსოფლიო პანდემიის ვითარებაში და პერიოდში პანდემიური სიტუაციის მართვის უფლებამოსილება ნებისმიერ ქვეყანაში გადაცემული ექნება ჯმო-ს, მის გადაწყვეტილებებს დაემორჩილებიან მთავრობები და ქვეყნის მოსახლეობები. მთავრობების მხრიდან საგანგებო ვითარების აღიარების შემდეგ ქვეყანაში შეჩერებული იქნება ძირითადი კანონები:

1. კონსტიტუცია, შესაბამისად ყველა ის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ადამიანს კონსტიტუციით, მათ შორის - სიტყვის თავისუფლების და თავისუფალი გამოსვლების, თავისუფალი გადაადგილების, საკუთრების უფლების, საცხოვრებელი ადგილზე განთავსების, დღე-ღამის განმავლობაში ადგილზე ყოფნის ან მისი დატოვების - ყველა ეს უფლება შეჩერებული იქნება!;
2. სამოქალაქო სასამართლო;
3. პოლიცია.

ყველაფერზე კონტროლისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებას ქვეყნები გადასცემენ ჯმო–ს. "საგანგებო ვითარებაში" მიღებული ამ დაგაწყვეტილებების განახორციელების უზრუნველსაყოფად შეიქმნება მოქმედი ს ა მ ხ ე დ რ ო ძალა!!! საუბარია ისეთი გადაწყვეტილებების განხორციელებაზე, როგორებიცაა: საგანგებო ვითარებაში მოქმედი სამხედრო კომანდანტის საათი (ისეთი კი არა, აქამდე რომ იყო, არამედ გაცილებით მკაცრი და სასტიკი!), ოჯახების, დასახლებების - უბნების, სოფლების, ქალაქების მოსახლეობის ა რ ა ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი ევაკუაცია, ხოლო ამ ევაკუაციის ადგილს, ხანგრძლივობას და შინაგანაწესს განსაზღვრავს ჯმო!!! (იხილეთ ასამბლეის სესიის მსვლელობის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=Uorz1Da82wI ).

რა თქმა უნდა აღნიშნულმა სესიამ საპროტესტო ტალღა წარმოშვა. ჯმო-ს საიტს პროტესტით ათეულათასობით ადამიანი მიაწყდა. ადამიანები საკუთარი მთავრობებისგან მოითხოვენ, რომ არ მიიღონ მონაწილეობა და არ მოაწერონ ხელი ჯმო-ს მიერ

ფაშიზმის ოფიციალურ გამოცხადებას, ღიარებასა და განხორციელებას!!!!

ვსარგებლობ მომენტით და აქვე მოგიწოდებთ: არ დავუშვათ მსოფლიო ტერორის ჯერარნახული მცდელობა. ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, არ გაბედოს ასეთ ანტიქრისტეს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. დაიწყოს პროცედურები საქართველოს ჯმო–დან გამოსასვლელად. ჩატარდეს რეფერენდუმი, რომელიც შეეკითხება ხალხს, უნდა თუ არა მას, რომ საქართველო ჯმო–დან გამოვიდეს.

მსგავს საკითხებზე, კერძოდ ცრუ პანდემიის გზით ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების გეგმებსა და ტექნელოგიებზე საუბრობს დოქტორი ვლადიმერ ზელენკო, მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი ექიმი, რომელმაც პრეზიდენტი ტრამპი განკურნა კორონავირუსისაგან. აი, ამონარიდები მისი საუბრიდან, რომლის სათაურია "**გეგმა, რომელიც მოგვნიშნავს ახალი მსოფლიო წესრიგის მონური სისტემისთვის"** (იხ.:https://dailyexpose.uk/2022/01/18/the-plan-to-tag-us-for-the-new-world-order/)**.**

დოქტორი ზელენკო თვლის, რომ SARS-CoV-2 არის ხელოვნურად შექმნილი ბიოლოგიური იარაღი. ამ მოსაზრებას ის აყალიბებს ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დაპატენტებული კვლევების საფუძველზე. მისი მტკიცებით მათ, ვინც შექმნეს იარაღი, ასევე გამოიკვლიეს და დაადგინეს ანტიდოტები, ვირუსის საწინააღმდეგო საშუალებები, რომლებიც დაუმალეს ხალხს, თუმცა "რჩეულთათვის" ისინი ხელმისაწვდომია. დოქტორ ზელენკო ამბობს, რომ მან იცის, რომ Google-ის ყველა მაღალი ჩინი პრევენციისთვის იღებს ჰიდროქსიქლოროქინს და ივერმექტინს, ისევე როგორც კონგრესის წევრთა

ნახევარი. ასე რომ ცრუპანდემიის აპოლოგეტებმა იციან ანტიდოტების შესახებ და იყენებენ მათ თავისთვის. ცხადია, რომ ეს ცრუპანდემია არის მასობრივი მკვლელობა, აცხადებს ზელენკო.

დოქტორი ზელენკო თვლის, რომ ანტიდოტების დამალვის გარდა მთელს მსოფლიოში კლავენ ადამიანებს ე.წ. ვაქცინებით. ერთი წლის განმავლობაში აგრესიული საინექციო კამპანიის გზით, რომლის მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი ადამიანის ინექცირება, ალბათ უფრო მეტი ადამიანი მოკლეს, ვიდრე ინფექციით დაიღუპა. სამწუხაროდ, ეს ვარაუდია, რადგან მონაცემებით ძალიან სერიოზულად მანიპულირებენ. დოქტორი ზელენკოს შეფასებით, დღემდე ნახევრიდან ერთ მილიონამდე ამერიკელი გარდაიცვალა Covid-ის ინექციებით. აშშ-ის სურსათისა და წამლების ადმინისტრაციამ ("FDA") იცოდა, რომ ინექციებს შეიძლება სერიოზული უარყოფითი შედეგები მოჰყოლოდა, მაგრამ მაინც დაჟინებით მოითხოვდა მათ გამოყენებას. უფრო მეტიც, "FDA" უარს ამბობს ვაქცინის გვერდითი მოვლენების აღრიცხვის სისტემაში (VAERS) დაფიქსირებული უამრავი არასასურველი გვერდითი მოვლენის გათვალისწინებაზე.

დოქტორი ზელენკო აღნიშნავს: ***„2020 წლის ოქტომბერში, ვაქცინის გამოშვებამდე ორი თვით ადრე, FDA-ს თავის მეცნიერებისათვის ჰქონდა შიდა პრეზენტაცია და ამ პრეზენტაციის მე-16 სლაიდზე იყო გვერდითი მოვლენების ჩამონათვალი: სიკვდილი, ინფარქტი, ინსულტი, თრომბი, საშინელი ნევროლოგიური დაავადებები, მიოკარდიტი და მრავალი სხვა. გაითვალისწინეთ, რომ ეს ხდება ორი თვით ადრე ვაქცინის გამოტანამდე. ვაქცინების გამოშვებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც VAERS მონაცემთა***

***ბაზამ დაიწყო იმ გვერდითი ეფექტების ჩვენება, რომელსაც ადამიანები განიცდიდნენ, არსებობს 100% კორელაცია იმასთან, რაც ითქვა პრეზენტაციაზე და ნაჩვენები იყო მე–16 სლაიდზე და რაც რეალურად შეემთხვათ ადამიანებს. ეს არის განზრახ მასობრივი მკვლელობა. FDA-მ ზუსტად იცოდა, რას აკეთებდა. მათ ზუსტად იცოდნენ გვერდითი მოვლენების შესახებ და მაინც გაუშვეს ხმარებაში ვაქცინა…"***

მსოფლიოში ალბათ ყველაზე ავტორიტეტული სამი იმუნოლოგი, დოქტორი ლიუკ მონტენიე (2008 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი აივ ვირუსის აღმოჩენისთვის), დოქტორი სუჰარიტ ბჰაკდი, ყველაზე გამოქვეყნებადი იმუნოლოგი და დოქტორი გეერტ ვანდენ ბოსშე, ნიდერლანდების წამყვანი იმუნოლოგი გვაფრთხილებდნენ, რომ როდესაც მასობრივ ვაქცინაციას ახდენთ აქტიური ეპიდემიის დროს, თქვენ იწვევთ ახალი შტამების დაუსრულებელ გაჩენას. მაგრამ "პანდემიის" ორგანიზატორთა მიზანიც ხომ ეს იყო, რითაც ისინი სთესავდნენ შიშის ფსიქოზს, ახორციელებდნენ ლოკდაუნებს, ნერგავდნენ ტესტირებასა და ნიღბის ტარებას.

**როგორია რეალური ვითარება?** მოვუსმინოთ დოქტორ ზელენკოს:

*"შემუშავდა CRISPR ტექნოლოგია, რომელიც წარმოადგენს საშუალებას გენის რედაქტირებისათვის ან გენების სპლაისინგს (შერწყმა–მთ.შენ) ძალიან ზუსტი ხერხებით. ის ბაზარზე გაიყიდა როგორც გენეტიკური დაავადებების სამკურნალო საშუალება. არსებობს დეფექტური გენი. თქვენ შეგიძლიათ უბრალოდ ამოჭრათ ის და ჩასვათ ჯანსაღი გენი. ეს არის პოზიტივი. ნეგატივი არის ის, რომ ეს ქმნის გენის რედაქტირების შესაძლებლობებს ბოროტი მიზნებისთვის. 2015 წელს*

*ბილ გეითსმა განაცხადა, რომ გლობალური დათბობის გამო ვაქცინების გამოყენებით მსოფლიოს მოსახლეობა 15%-ით უნდა შემცირდეს. იგივე ბილ გეითსმა 2020 წელს თქვა, რომ შვიდი მილიარდი ადამიანი უნდა იყოს ვაქცინირებული. ასე რომ, აშკარა რიტორიკული კითხვაა:* ***"რატომ უნდა გვინდოდეს ჩვენი ჯანმრთელობისთვის ვაქცინაცია გავიკეთოთ იმ ადამიანისაგან, ვინც მხარს უჭერს მსოფლიოს მოსახლეობის შემცირებას ვაქცინის გამოყენებით?"***

*2016 წელს კლაუს შვაბმა ინტერვიუში რაღაც ძალიან უცნაური თქვა. მისი თქმით, 10 წლის განმავლობაში, 2026 წლისთვის, ყველა ადამიანი ციფრული იდენტიფიკატორით იქნება მონიშნული. რას ნიშნავს ეს?*

*მოდით თანმიმდევრობით მივყვეთ მოვლენებს. ბიოიარაღები მზადდება ანტიდოტებთან ერთად, რომელნიც მიჩუმათებული და დამალული არიან. გამოუშვეს ბიოიარაღი, ვირუსი, რომელიც მარტივად იკურნება, მაგრამ ეს ინფორმაცია მიჩუმათებულია და ანტიკოვიდ მედიკამენტებზე წვდომა იბლოკება, ხოლო ექიმები, რომლებიც ასეთი მკურნალობის მომხრენი არიან, იდევნებიან. დაუყოვნებლივ აკრიტიკებენ ნებისმიერ ადრეულ სტადიაზე ჩარევას. თუ NIH-ის (ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტები) რეკომენდაციებს გადახედავთ, ისინი დღესდღეობით ურჩევენ ექიმს, არ უმკურნალოს Covid-ს, თუკი პაციენტი საავადმყოფოში არ იქნება მოთავსებული ფილტვების დაზიანებით.*

*და აი მე დავინტერესდი, თუ რა ხდება სინამდვილეში? რატომ არის ეს მუდმივი მოწოდება ყველას ვაქცინაციისკენ? რატომ აპატიმრებენ ექიმებს წამლების გამოყენებისათვის სამსახურში? იმიტომ, რომ ეს მკურნალობა ხელს უწყობს ვაქცინაციის მიმართ ყოყმანს.*

*შემდეგ მე რაღაცას მივხვდი. ჩემთვის ცნობილი გახდა ორი პატენტის შესახებ. მათ ერთი წელი აშორებს ერთმანეთისაგან. ისინი ერთმანეთთან ერთი კონცეფციით არიან დაკავშირებული. ერთ-ერთი მათგანი 2021 წლის 31 აგვისტოს შედგა და აღწერს ნანოტექნოლოგიის ინჟინერიას. ძირითადად ის აღწერს შემდეგს: უკვე არსებობს ტექნოლოგია და ეს ვაქცინები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გავზომოთ თქვენი ბიომეტრიული მონაცემები, ანუ გულისცემა, სუნთქვის სიხშირე, ტემპერატურა და შემდეგ გადავცეთ ეს მონაცემები თქვენ ადგილმდებარეობასთან ერთად მესამე მხარეს.*

*არის კიდევ ერთი პატენტი, რომელიც ეკუთვნის Microsoft-ს. მისი ნომერი მე ზეპირად მახსოვს – ეს არის საერთაშორისო პატენტი, რომლის ნომერია WO202060606. ალბათ ხვდებით, რომ პატენტის ნომერი შემთხვევითი არ არის. ეს პატენტი აღწერს ბიომეტრიული მონაცემების გადაცემის კავშირს კრიპტოვალუტასთან.*

*მაშინ კი მივხვდი, რომ ვაქცინაცია არასდროს ყოფილა დაკავშირებული ჯანმრთელობასთან. Covid-19 ადვილად განკურნებადია. საუბარი ყოველთვის იყო იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ ახალი მსოფლიო წესრიგის ("ამწ" – "NWO") აპოლოგეტებმა შიში და მასობრივი ფსიქოზი იმისათვის, რათა აიძულონ შვიდი მილიარდი ადამიანი, რათა მათი ვაქცინირების გზით დაინერგოს ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც მოსახლეობა ახალი კონტროლისა და აღრიცხვის სისტემის ობიექტები გახდებიან, სისტემისა, რომელიც კრიპტოვალუტაზეა დაფუძნებული და რომელსაც "ამწ" აპოლოგეტები ახალი მსოფლიო წესრიგი ფინანსებისთვის გამოიყენებენ. გაქრება ფიატური*

(სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი) *ვალუტა და ტრანზაქციების ყველა ტრადიციული მეთოდი.*

*გეითსი და შვაბი ორივე საუბრობდნენ იმაზე, თუ როგორ შეგცვლით თქვენ ეს ვაქცინები. ისინი განმარტავენ, რომ გენის რედაქტირების ტექნოლოგიით ისინი "აუმჯობესებენ" ადამიანს. ეს არის ტრანსჰუმანიზმი. მე ასეთ "გაუმჯობესებულ" ადამიანს ვუწოდებ ადამიანი 2.0. ადამიანი 1.0 არის ღმერთის მიერ შექმნილი ვერსია. ჩვენ მიბმულნი ვართ ღმერთთან ჩვენი გენეტიკური კოდით. ჩვენ ღვთის ხატად ვართ შექმნილი, რადგან გვაქვს მისი კოდი.*

*ახლა ვიკითხავ, რატომ უნდა მივცეთ ბილ გეითსს ან კლაუს შვაბს წვდომა ჩვენს გენეტიკურ კოდზე? ადამიანი 2.0 მათ გიჟურ, გარყვნილ, არანორმალურ გონებაში არის შემდეგი ნაბიჯი ადამიანთა არსების ევოლუციაში. და მე ვამბობ, რომ თუ თქვენ მათი გეგმების განხორციელების უფლებას მისცემთ თქვენ თავთან დაკავშირებით, მაშინ თქვენ უკვე აღარ იქნებით ღვთის ხატად შექმნილი. თქვენ იქნებით ბილ გეითსის და კლაუს შვაბის ხატად და მსგავსად შექმნილი."*

ამრიგად, დოქტორი ზელენკო თვლის, რომ ყველაფერი, რასაც აქამდე შევეჯახეთ, იყო აგრესიული საინექციო მარკეტინგი, იძულება და მუქარა, რომელიც მიზნად ისახავს რაც შეიძლება მეტი ინექციის გაკეთებას. ეს ყველაფერი იყო ხრიკი იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი „მოენიშნათ“ ახალი მსოფლიო წესრიგის კრიპტოვალუტის სისტემის მოსამზადებლად, რომელსაც შექმნის მცირე შერჩეული ჯგუფი და გამოიყენებს მთელი კაცობრიობის დასამონებლად. ეს ბოროტებაა, მაგრამ ბრწყინვალე გეგმაა, რადგან მონობა ყოველთვის იყო ყველაზე მომგებიანი ინდუსტრია კაცობრიობის ისტორიის მანძილზე.

ჩვენი მხრიდან გვინდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად დოქტორ ზელენკოს მიმართ პატივისცემისა, ვერანაირი ტექნოლოგია ვერ შეცვლის ადამიანის მსგავსებას ღმრთისადმი.

როგორც ვხედავთ, მიმდინარე ცრუ პამდემია, რეგულაციები, ვაქცინაცია და მათთან დაკავშირებული სხვა მოვლენები მრავალი ნიშნით, უდავოდ, აპოკალიპტური მოვლენების რიგს განეკუთვნებიან. ჩვენი განხილვისა და მსჯელობის მთავარი საგანი კი არის ვაქცინაცია და მისი კავშირი ანტიქრისტეს ბეჭედთან. ეს საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც არა მხოლოდ სქიზმატები, არამედ ზოგიერთი მართლმადიდებელი საულიერო თუ საერო პირი ამბობს, რომ ვაქცინაციით ადამიანები ღებულობენ ანტიქრისტეს ბეჭედს. მათი მოწოდებები ამ მიმართულებით, ქადაგებები, მიმართვები თუ პუბლიკაციები დიდ ვნებათაღელვასა და დაძაბულობას იწვევს ადამიანებში, მთელ საზოგადოებაში. ჩვენი მიზანი არ არის პიროვნებებზე საუბარი და ამიტომ არავის დავასახელებთ, თუ ვინ და როგორ ირჯება. ჩვენ ვისაუბრებთ თავად საკითხის არსზე და დავასაბუთებთ, რომ ხსენებული პიროვნებების მტკიცებულებები მცდარია და რომ ვაქცინაციით ადამიანი არ იღებს ანტიქრისტეს ბეჭედს.

ამგვარად, ჩვენი განხილვის მიზანია ვისაუბროთ საკითხზე: არის თუ არა ვაქცინა ანტიქრისტეს ბეჭედი და არიან თუ არა ვაქცინირებულები უკვე ანტიქრისტეს ბეჭედასმულნი? მათ, ვინც ამას ამტკიცებს (პირობითად მათ ვაქცინბეჭედოსნებად მოვიხსენიებთ), თავიანთი მტკიცების დასასაბუთებლად სხვადასხვა არგუმენტი მოაქვთ. უცნაურია, რომ ვაქცინბეჭედოსანთაგან ზოგიერთი იმას ქადაგებს, რომ აპოკალიფსის მთავარ

წყაროში, იოანე მოციქულის "გამოცხადებაში" ანტიქრისტეს მეფობასთან და ანტიქრისტეს ბეჭდის მიღებასთან დაკავშირებით მოტანილი ცნობები არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით უნდა მივიღოთ; რომ ისინი, ვისაც გამოცხადების დებულებები პირდაპირი მნიშვნელობით ესმის (უნდა აღინიშოს, რომ ასეთნი ეკლესიის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ) და ამტკიცებს, რომ ანტიქრისტეს ბეჭედი მისი ზეობის ხანაში გამოჩნდება და რომ ბეჭდის მიღებამდე საჭირო იქნება ანტიქრისტეს თაყვანისცემა და (ამით) ქრისტეს უარყოფა, ის სტერეოტიპებით საუბრობს და შეცდომაში შეჰყავს ხალხიო.

განვიხილოთ ვაქცინბეჭედოსანთა მთავარი არგუმენტები. ყველაზე ხშირად მათ მოაქვთ წმ. პაისი ათონელის შემდეგი სიტყვები:

*"გამოჩნდება ახალი დაავადება, რომლის საწინააღმდეგო ვაქცინაც უკვე ნაპოვნია. ვაქცინაცია იქნება სავალდებულო და როცა ადამიანს გაუკეთებენ აცრას, იქვე დაუსვამენ ბეჭედსაც. ჩემი სულიერი თვალთახედვით ამ სისტემით მოისურვებს ანტიქრისტე მთელი მსოფლიოს დამორჩილებას. ამ სისტემის წყალობით ანტიქრისტე გააკონტროლებს მსოფლიო ეკონომიკას და მხოლოდ ის, ვინც მიიღებს ბეჭედს, შეძლებს სავაჭრო ურთიერთობაში შესვლას, როგორ დაიტანჯება ხალხი, ვინც ბეჭედი მიიღო. ვინც ბეჭედს არ მიიღებს, სხვებზე უკეთესად იქნება, რადგან მათ ქრისტე დაეხმარება და ეს არ არის უბრალო საქმე"* (იხ. 1. ხუცესი პაისი მთაწმინდელი, ტომი 2, „სიტყვები, სულიერი გამოღვიძება“ - გვ. 193—194, გამომცემლობა „წმინდა მთა“, 2009.).

უცნაურია, რომ ვაქცინბეჭედოსნებს, წმიდა წერილისგან განსხვავებით, წმ. პაისის ეს და სხვა

სიტყვები სწორედ სიტყვასიტყვით ესმით, რაც ჩვენი თვალსაზრისით არ არის მართებული. მაგალითად, თუ ასე მივუდგებით, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ანტიქრისტეს ბეჭედი პაისი ათონელის სიცოცხლის დროს უკვე შექმნილი ყოფილა და მას ვაქცინის სახე ჰქონია, რაც სრული აბსურდია, თუნდაც იმიტომ, რომ იმ დროისთვის ეს შეუძლებელი იყო ტექნოლოგიურად.

ჩვენ წმ. პაისი ათონელის სიტყვები ასე გვესმის, რომ იმ დროს, შესაძლოა, ასეთი ჩანაფიქრი, ასეთი იდეა უკვე გაჩენილიყო და სამომავლოდ ამას გეგმავდნენ ანტიქრისტეს ადეპტები, წმ. პაისის კი ზეგარდმო ეუწყა ეს. ან იმ დროს არც ყოფილა ასეთი ჩანაფიქრი, მაგრამ წმ. მამამ ასეთი მომავალი განჭვრიტა. საერთოდ, პაისი ათონელი, ბოლო დროის ეს უდიდესი მამა, რომელიც ბევრს საუბრობდა ანტიქრისტეს ბეჭედზე, ჩვენი თვალსაზრისით, განგებ ამწვავებდა საკითხს იმ მიზნით, რომ გამოეფხიზლებინა იმდროინდელი მცონარე და მთვლემარე საზოგადოება. ამას ასე თუ არ შევხედავთ, მაშინ არაერთ ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობას ვიპოვით ამ თემასთან დაკავშირებულ მის ნაწერებში. მაგალითად, წმ. პაისის მსჯელობები იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი პირადობის მოწმობა ანტიქრისტეს ბეჭედს უკავშირდება, მრავალმა სიტყვასიტყვით გაიგო და დაასკვნა, რომ ვინც ახალ პირადობის მოწმობას აიღებს, ის ანტიქრისტეს ბეჭედს მიიღებს. წმ. პაისი ათონელი კი ხაზგასმით ამბობდა, რომ ახალი მოწმობა არის არა ანტიქრისტეს ბეჭედი, არამედ – ბეჭდის შემოტანა, ანუ ნაბიჯი ანტიქრისტეს ბეჭდისკენ. აი, ამონარიდი მისი ერთ–ერთი წერილიდან: ***"ახალი მოწმობა ბეჭედი არაა. ეს არის ბეჭდის შემოტანა"*** (წმ. პაისი ათონელი "სულიერი გამოღვიძება", ნაწილი მესამე, ახალი პირადობის მოწმობა, თბილისი 2009 წ., გვ. 150).

ანუ წმ. პაისი ანსხვავებს ბეჭედსა და ბეჭდის შემოტანას, ფაქტსა და პროცესს. მრავალმა კი ეს პროცესი უკვე შემდგარ ფაქტად მიიღო, მცდარი დასკვნა გააკეთა და სხვაც შეცდომაში შეიყვანა.

ვაქცინბეჭედოსნების მსგავსად ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს, რომ ანტიქრისტეს ბეჭედი მართლმადიდებლებს შეიძლება მოტყუებით მიაღებინონ, მაგრამ მორწმუნეები მისგან სინანულის გზით შეძლებენ განთავისუფლებასო. ანუ მორწმუნე შეიძლება მოტყუვდეს, ან ვერ გაუძლოს ზეწოლას და მიიღოს ანტიქრისტეს ბეჭედი და მასთან დაკავშირებული პრეფერენციები, შინაგანად კი მაინც ქრისტიანად რჩებოდეს, ბოლოსკენ მოინანიოს, განთავისუფლდეს ბეჭდისგან და ცხონდეს. ეს მოსაზრება თავდაყირა აყენებს ეკლესიის მოწამეობრივ ისტორიას, რომელმაც არაერთი მაგალითი იცის, როდესაც მოწამეებს სთავაზობდნენ, რომ გარეგნულად მიეღოთ სხვა რჯული (მაგალითად ისლამი), შინაგანად კი ისევ ქრისტიანებად დარჩენილიყვნენ. მოწამეები მტკიცედ უარყოფდნენ ამ შემოთავაზებას, რადგან ქრისტეს ღალატად მიიჩნევდენ ასეთ აღმსარებლობას.

ახლა ვაჩვენოთ, თუ როგორ ესმის მორწმუნეთა დიდ უმრავლესობას წმიდა წერილი და იოანეს გამოცხადება ანტრიქრისტესა და მის ბეჭედთან დაკავშირებით. ჩვენ გამოცხადების სიტყვებს ანტიქრისტეს ბეჭდის მიღებასთან დაკავშირებით სწორედაც რომ პირდაპირი მნიშვნელობით ვგებულობთ და არა სიმბოლურად თუ ქარაგმულად, როგორც ამას სქიზმატები და, სამწუხაროდ, ზოგიერთი მართლმადიდებელი იქმს. გამოცხადებაში მრავალი ქარაგმა და სიმბოლიზმია, მაგრამ ანტიქრისტეს ზეობა და ანტიქრისტეს ბეჭდის მიღება იქ ცხადად და ნათლად არის აღწერილი. წმინდა

მამებიც განმარტავენ ბეჭდის მიღებასთან დაკავშირებულ მოვლენებს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მაშ, როგორია ეკლესიის სწავლება ამასთან დაკავშირებით?

1. იოანეს გამოცხადება ანტიქრისტეს გამოჩენას, მის მიერ ღმრთისა და მის წმინდანთა გმობას, მის გამეფებას, მის თანამოქმედთა აღზევებასა და ადამიანების მიერ ბეჭდის მიღებას ნათლად და ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერს:

*"მიეცა მას პირი მზვაობრად მეტყველი და ღვთისმგმობელი, და მიეცა მას ხელმწიფება, რათა მოქმედებდეს ორმოცდაორი თვის მანძილზე.*

*და აღაღო პირი თჳსი გმობად ღმრთისა მიმართ, გმობად სახელისა მისისა და სამკჳდრებელისა მისისა, და ცათა შინა დამკჳდრებულთა მათ.*

*და მიეცა მას ბრძოლისაცა ყოფად წმიდათა მიმართ და ძლევად მათდა; მიეცა მას ჴელმწიფებაჲ ყოველსა ზედა ტომსა და ერსა, და ენასა და ნათესავსა.*

*და თაყუანის-სცენ მას ყოველთა მკჳდრთა ქუეყანისათა, რომელთა სახელები არა დაწერილ არს დასაბამითგან სოფლისაჲთ წიგნსა მას ცხორებისასა კრავისა მის დაკლულისა.*

*და ვიხილე სხუაჲ მჴეცი, აღმომავალი ქუეყანით, და აქუნდეს რქანი, მსგავსნი კრავისა, და ზრახვიდა, ვითარცა ვეშაპი.*

*და ჴელმწიფებასა პირველისა მის მჴეცისასა ყოველსა იქმნ წინაშე მისსა და ჰყოფდა ქუეყანასა და ყოველთა მკჳდრთა მისთა, რაჲთა თაყუანის-სცენ მჴეცსა მას პირველსა, რომლისა წყლულებაჲ სიკუდილისა მისისაჲ განიკურნა.*

*და იქმნ სასწაულთა დიდთა, და რაჲთა ცეცხლი გარდამოჴდეს ზეცით წინაშე კაცთა.*

*და აცთუნებს მკვდრთა მათ, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა, სასწაულთა მათთვს, რომელ მიეცნეს მას ქმნად წინაშე მჴეცისა მის, და ეტყვს მკვდრთა ქუეყანისათა, რაჲთა ქმნან ხატი მჴეცისაჲ მის, რომელსა-იგი აქუნდა წყლულებაჲ და ცხოვნდა მახჳლისგან.*
*და მიეცა მას სული მიცემად ხატსა მას მჴეცისასა, რაჲთა იტყოდის ხატი მჴეცისაჲ მის და ქმნას. ყოველნი, რომელთა არა თაყუანის-სცენ ხატსა მჴეცისასა, მოიკლნენ.*
*და ყვნეს ყოველნივე - მცირენი და დიდნი, და მდიდარნი და გლახაკნი, და აზნაურნი და მონანი, - რაჲთა მიიღონ ბეჭედი ჴელსა მათსა მარჯუენესა ზედა, ანუ შუბლსა ზედა მათსა.*
*და რაჲთა არავის ჴელ-ეწიფებოდის სყიდად, ანუ განსყიდად, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მჴეცისა მის, ანუ რიცხვ სახელისა მისისაჲ."*
(იოანეს გამოცხადება, 13:5–8,11–17).

ამგვარად, ანტიქრისტე გამოჩნდება, გამეფდება და მისი ხელმწიფება გაგრძელდება 42 თვე. მისი თანმხლები პირი გამოჩნდება და იმოქმედებს მისი სახელითა და მის წინაშე. იგი იქმს მრავალ სასწაულს და აცდუნებს მრავალს. ის ქვეყნის მოსახლეობას აიძულებს, თაყვანი სცენ ღმრთისმგმობ ანტიქრისტეს და ეს თაყვანისცემა უკვე იქნება ღმრთის, ქრისტეს უარყოფა. ყოველივე ამის შემდეგ კი ადამიანები მიიღებენ ანტიქრისტეს ბეჭედს შუბლსა და მარჯვენა ხელზე. რა თქმა უნდა ანტიქრისტეს თაყვანისცემა და ბეჭდის მიღება არ იქნება რაღაც ერთი აქტი და ცერემონიალი, არამედ იქნება დროში გაწელილი პროცესი, მაგრამ მისი არსი და ქრონოლოგია სწორედ ისეთია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

ანტიქრისტეს თაყვანისცემა და მისი ბეჭდის მიღება ადამიანების მიერ მოხდება არა დაფარულად,

მოტყუებითა თუ ვერმიხვედრით (მაგალითად ვაქცინირებითა თუ რაიმე დოკუმენტების აღებით), არამედ ღიად და შეგნებულად. მართალია, ამისთვის ანტიქრისტეს ადეპტები გამოიყენებენ ცდუნებასა და იძულებას, მაგრამ ადამიანების მიერ ანტიქრისტეს თაყვანისცემა და მისი ბეჭდის მიღება იქნება შეგნებული, გაცნობიერებული აქტი. ამაზევე მიანიშნებს ბეჭდის მიღება შუბლსა და ხელზე: შუბლი მიანიშნებს გაცნობიერებულობაზე, მარჯვენა ხელი კი იმაზე, რომ ადამიანები საქმით განუდგებიან ქრისტეს და ეთაყვანებიან ქნტიქრისტეს.

ამგვარად, "გამოცხადება" ნათლად გვეუბნება, რომ ანტიქრისტეს ბეჭედს მისი ადეპტები გაავრცელებენ იმ სამ წელსა და ექვს თვეში, როდესაც დედამიწაზე იმეფებს ანტიქრისტე. ანუ ანტიქრისტეს ნიშნით კაცობრიობის დადაღვას დაიწყებენ სამყაროს აღსასრულის წინ, უშუალოდ ანტიქრისტეს მეფობის პერიოდის, უკანასკნელი სამ წელიწადნახევრის განმავლობაში.

ამას ადასტურებენ წმიდა მამებიც. **ღირსი ეფრემ ასურის** (†373) ბერძნულენოვან თხზულებათა შორის ცნობილია ვრცელი სიტყვა ბოლო ჟამის შესახებ ("სიტყვა უფლის მოსვლის, სამყაროს აღსასრულისა და ანტიქრისტეს გამოჩენის შესახებ"). მხეცის დაღის ("ბეჭდის") შესახებ იქ მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ მისი დადება დაიწყება ანტქრისტეს გამეფების შემდეგ. ეს განსაკუთრებულად ცხადია სიტყვებიდან ***"და დააყენებს ზედამხედველებს თავისი განკარგულებების შემსრულებლებად";*** თავის გამეფებამდე მას არ შეეძლება ყველგან ზედამხედველების დაყენება. ***"მრავალ საცთურს შემოიტანს მხეცი. ის თვითონ ღმრთისმბრძოლია და ყველას წარწყმედას ელტვის. მტარვალი ისეთ ხერხს გამოიყენებს, რომ ყველანი ვალდებული იქნებიან***

*საკუთარ სხეულზე ატარონ მხეცის ბეჭედი, როდესაც თავის დროზე, ანუ ჟამთა აღსრულებისას, ცრუსასწაულებით მოვა ყველას საცთუნებლად; და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეეძლებათ მათ იყიდონ საკვები და სასიცოცხლოდ საჭირო ყოველივე საგანი; და დააყენებს ზედამხედველებს თავისი განკარგულებების შემსრულებლებად"* (Ephraem Syrus. Sermo in adventum domini, et de consummatione saeculi, et in adventum antichristi. // Ὁσίου Ἐφραίμ τοῦ Σύρου ἔργα. Θεσσαλονίκη, 1992. Τ. 4. Σ. 116-117).

დაღის დასმა რომ ანტიქრისტეს მოსვლის შემდეგ მოხდება, ამას მოწმობს ასევე **ნეტარი იერონიმე სტრიდონელი** († 420), რომელმაც გაასწორა და შეავსო **წმ. მღვდელმოწამე ვიქტორინე პეტავიელის** († 304) აპოკალიფსისის განმარტება. ამ განმარტების თანახმად, დაღის ("ბეჭდის") დადებას წინ გაუსწრებს ცრუწინასწარმეტყველის ცრუსასწაულები, იერუსალიმის ტაძრის აღდგენა და მასში ანტიქრისტეს ოქროს კერპის დადგმა. *"და ცეცხლი ჩამოვა ციდან, მაგრამ "კაცთა წინაშე", როგორც დღესაც დაცემულ ანგელოზთა დახმარებით იქმან ჯადოქრები. ის ასევე ყველაფერს გააკეთებს, რათა იერუსალიმის ტაძარში დადგმულ იქნას ანტიქრისტეს ოქროს კერპი, რომელშიც დაცემული ანგელოზი შევა, საიდანაც ხმას გამოსცემს და იწინასწარმეტყველებს. ამის შემდეგ ის "ისე გააკეთებს, რომ თავისუფლებმა და მონებმა მიიღონ დაღი მარჯვენა ხელზე ან შუბლზე - მხეცის სახელის რიცხვი, - რათა ვერავინ შეძლოს ვერც ყიდვა და ვერც გაყიდვა"* (Victorinus Petabionensis, Hieronymus. Commentarius in apocalypsin (recensio Hieronymi) // CSEL. 49. P. 129).

**წმ. მღვდელმოწამე იპოლიტე რომაელისა და ღირსი ეფრემ ასურის** (О Христе и антихристе. СПб., 2008. С. 263)

თხზულებების მიხედვით, ანტიქრისტე ჯერ ხელისუფლებაში მოვა *"და მას მეფედ გამოაცხადებენ. ამის შემდეგ გამედიდურდება მისი გული: ის, თავიდან მდაბალი და მშვიდი, გასასტიკდება; ადრე თუ სიყვარულით იყო გამსჭვალული, უცებ გაგულქვავდება; გულით მდაბლიდან ქედმაღალ და სასტიკ ადამიანად გარდაიქმნება; ნაცვლად იმისა, რომ შეიძულოს უსამართლობა, მართალთა დევნას შეუდგება. შემდეგ, თავის სამეფოში რომ გამყარდება, დაიწყებს მრისხანებით აღსავსე ომს, დაამხობს სამ დიდ მეფეს: ეგვიპტისას, ლიბიისას და ეთიოპიისას. ამის შემდეგ კი დაიწყებს იერუსალიმის ტაძრის მშენებლობას, ნაჩქარევად აღადგენს მას და გადასცემს იუდეველთ. შემდეგ ისე გადიდგულდება ყოველ ადამიანზე, რომ ღმრთის გმობასაც კი შეუდგება. ის, მზაკვარი, იფიქრებს, სამუდამო მეფე ვიქნებიო დედამიწაზე; მაგრამ ამასთან, უბედური, ვერ შეიგნებს, რომ მისი სამეფო მალე განადგურდება და პირადად მას ცეცხლი შეჭამს, რომელიც გამზადებულია მისთვის ყველა იმათთან ერთად, მას რომ ერწმუნებიან და მისი მონები შეიქნებიან"* (Ипполит Римский, сщмч. О кончине мира, 25 // О Христе и антихристе. СПб., 2008. С. 281).

მას თაყვანს სცემენ დედამიწის ხალხები, რომლებიც ცრუსასწაულებით იქნებიან აღძრულნი: *"და მართლაც, ის ადამიანთა ზედამხედველებად დემონებს დააყენებს და უკვე არავის მოაჩვენებს თავს კეთილშობილად, არამედ ყველგან და ყველაფერში მკაცრი, სასტიკი, მრისხანე, ფიცხი, მავნე, მერყევი, საშინელი, აუტანელი, მოძულე, სამაგელი, თავშეუკავებელი, შურისმაძიებელი და ბოროტი იქნება. ხოლო მოსურვებისგან წარწყმედის უფსკრულში ჩაგდოს კაცთა მთელი მოდგმა გაამრავლებს ცრუსასწაულთ. და მაშინ ყველა ხალხი*

*მისი საცთურებისგან ცთუნდება, ის მძლავრი ხმით იმდენად ძლიერად მოუწოდებს, რომ მის წინაშე მდგომ ბრბოს მიწა შეერყევა. "შეიცანით (იტყვის ის), ერებო, ხალხებო და ტომებო, ჩემი მეფობის დიდი ძალაუფლება და ძლიერება! რომელი მმართველია ჩემზე ძლიერი? რომელი ღმერთია ჩემზე დიადი? ვის შეუძლია ეწინააღმდეგოს ჩემს ძალაუფლებას?" და მართლაც, მთებს გადააყენებს თვითმხილველთა წინაშე; ზღვაზე გაივლის დაულტობელად; ცეცხლს ჩამოიყვანს ციდან; დღეს დააბნელებს და ღამეს გაანათებს; მზეს უბრძანებს გადადიო და გადავა; და საერთოდ, თავისი საცთურების ძალით მაყურებელთა წინაშე აჩვენებს, რომ დედამიწის ყველა სტიქია და ზღვა მას ემორჩილება"* ((пс.-) Ипполит Римский, сщмч. О кончине мира, 26 // О Христе и антихристе. СПб., 2008. С. 282-283).

*"ამის შემდეგ, ცა არ გამოიღებს ნამს და დედამიწა ნაყოფს; ზღვა აყროლდება, მდინარეები დაშრებიან, ზღვის თევზები გაწყდებიან, ადამიანები შიმშილისა და წყურვილისგან დაიხოცებიან"* (Ипполит Римский, сщмч. О кончине мира, 27 // О Христе и антихристе. СПб., 2008. С. 283). მხოლოდ *"ამის შემდეგ უწმინდური, დემონთა და ადამიანთა დახმარებით, ყველა ოლქში დააგზავნის განკარგულებას; ყველა მათგანი იტყვის: "გამოჩნდა დიადი მეფე დედამიწაზე: მიდით ყველანი და თაყვანი ეცით მას, მიდით და იხილეთ მისი ძლიერება. ის მოგცემთ პურს და გაჩუქებთ ღვინოს, მოგანიჭებთ სიმდიდრეს და დიად პატივს!..." და აჰა, საჭმლის ნაკლებობის გამო, ყველა მასთან მივა და თაყვანსსცემენ მას, ხოლო ის მისცემს მათ დაღს (χάραγμα) მარჯვენა ხელსა და შუბლზე იმ მიზნით, რათა ვერავინ გამოისახოს პატიოსანი ჯვარი მარჯვენა ხელით თავის*

*შუბლზე"* (Ипполит Римский, сщмч. О кончине мира, 28 // О Христе и антихристе. СПб., 2008. С. 284).

ამრიგად, ანტიქრისტეს დაღი ამ ცრუმეფის მსოფლიო გაბატონების შემდეგ შემოვა. იერუსალიმის ტაძარი მანამდე აშენებულ უნდა იქნას, რათა შემდეგ მასში დაიდგას ანტიქრისტეს ოქროს ქანდაკება.

2. ეკლესიის სწავლებით, **დაღის დასმა იქნება ნებაყოფლობითი,** თუმცა ამას წინ შეიძლება უძღოდეს იძულებითი და მაცდუნებელ–შემაცდენელი მეთოდები, რომლებიც ადამიანებს მიიყვანენ განდგომილებასთან, ქრისტეს უარყოფასა და ანტიქრისტეს თაყვანისცემასთან, აქედან გამომავალი შედეგებით: ***"...რომელმანცა თაყუანის-სცეს მჴეცსა მას და ხატსა მისსა და მიიღოს ბეჭედი შუბლსა მისსა, ანუ ჴელსა მისსა,მანცა სუას ღჳნისა მისგან გულისწყრომისა ღმრთისა, რომელი-იგი წდეულ არს ურწყულად სასუმელსა მას შინა რისხვისა მისისასა, და იტანჯოს ცეცხლითა და წუმწუბითა წინაშე წმიდათა ანგელოზთა და წინაშე კრავისა."*** (აპოკ. 14:9-10).

ანტიქრტისტეს დაღს ადამიანი არ მიიღებს გაუცნობიერებლად, ისე, რომ თანხმობა არ განაცხადოს მასზე. საეკლესიო განმარტებით ანტიქრისტეს დაღი ("ბეჭედი") განუყოფლად არის დაკავშირებული ქრისტეს შეგნებულ უარყოფასთან და ანტიქრისტეს, როგორც "ღმერთის", ღია რელიგიურ თაყვანისცემასთან.

წმ. **ანდრია კესარიელის** განმარტებაში ცალსახად არის ნათქვამი, რომ იქნება დაღი, რომელიც ადამიანებს *"შუბლსა და ხელზე მიეცემათ"*. ეს უთითებს იმაზე, რომ ადამიანი *"დაემორჩილება მხეც-ანტიქრისტეს და მიჰყვება მისეულ უკეთურ ცხოვრებას, ხოლო **სიტყვით და საქმით ღმერთადაც აღიარებს მას**"* (Андрей Кесарийский, свт. Толкование на Апокалипсис,

42. М., 1911. С. 75). ამრიგად, დაღი ("ბეჭედი") ჯერ ანტიქრისტეს ღმერთად აღიარებას ითხოვს.

**ღირსი ეფრემ ასური** ამბობს, რომ მხეცის დაღის მიღების შემდეგ ადამიანები ვერ შეძლებენ პირჯვრის გამოსახვას (მისი ანალოგიური მოქმედება აღწერილია სიტყვაში "სამყაროს აღსასრულის შესახებ" ("Слово о кончине мира"); ცალკე ის უთითებს, რომ დაღი ("ბეჭედი") დასმული იქნება "ჯვრის ნაცვლად", ანუ ის შერწყმული იქნება ჯვრის უარყოფასთან. *"დააკვირდით ძმანო მხეცის ზღვარგადასულ ბოროტმოქმედებასა და მზაკვარებას, როგორ იწყებს იგი კუჭით, რათა ადამიანი, როდესაც შიმშილისგან უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდება, იძულებული იქნება მიიღოს მისი დაღი, ანუ ავისმომასწავებელი გამოსახულება, სხეულის არა რომელიმე ნაწილზე, არამედ მარჯვენა ხელზე, ასევე შუბლზე, რათა ადამიანს უკვე აღარ ჰქონდეს შესაძლებლობა მარჯვენა ხელით გამოისახოს ჯვარი და შუბლიც აღიბეჭდოს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის პატიოსანი სახელით. რადგან იცის უბედურმა, რომ უფლის ჯვარი ანადგურებს მთელ მის ძალას; ამიტომაც აძლევს ის ადამიანს თავის დაღს მარჯვენა ხელზე, რადგან ის აღბეჭდავს ჯვრით მთელ ჩვენ სხეულს; ასევე შუბლზეც, რომელიც როგორც მაღალ ადგილზე შემოდგმული სასანთლე ჩვენი მაცხოვრის ნიშანს ატარებს. ამიტომაც, ძმანო, მტარვალი საშინელ ღვაწლს ატვირთვინებს ყველა ქრისტესმოყვარე ადამიანს, თქვენ კი სიკვდილამდე არ შეშინდეთ და უმოქმედოდ არ დარჩეთ, როდესაც გველი დაიწყებს თავისი დაღის ჩამორიგებას მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაცვლად. ასეთ მეთოდს კი უეჭველად იმიტომ მიმართავს, რათა უფლისა და მაცხოვრის სახელის ხსენებაც კი არ იყოს იმ ჟამს; ამას უძლური (ანტიქრისტე)*

*მაცხოვრის ძლიერების წინაშე შიშითა და ძრწოლით გააკეთებს"* (Ephraem Syrus. Sermo in adventum domini, et de consummatione saeculi, et in adventum antichristi. // Ὁσίου Ἐφραίμ τοῦ Σύρου ἔργα. Θεσσαλονίκη, 1992. Τ. 4. Σ. 117).

ბეჭედი ადამიანს შუბლსა და მარჯვენა ხელზე დაესმება და არა მთელ სხეულში ვაქცინის შეშხაპუნებით, როგორც ამას წერილის ავტორები ამტკიცებენ.

**წმ. მღვდელმოწამე იპოლიტე რომაელი** მიიჩნევდა, რომ შუბლსა და მარჯვენა ხელზე ანტიქრისტეს დაღის მიღება დაწესებული იქნება ცრუღმერთებისადმი მიძღვნილ წარმართულ ზეიმობათა მიხედვით; შუბლზე ნიშნების გამოსახვას ის აიგივებს გვირგვინთა ტარებასთან, რომლებიც ანტიკურ კულტებში იყო მიღებული, ხოლო ხელზე გაკეთებულ გამოსახულებას - ანტიქრისტეს სამსხვერპლოზე საკმევლის კმევასთან: *"ის ... ყველას უბრძანებს ყველგან უკმიონ მას საკმეველი, რათა წმიდათაგან ვერავინ შეძლოს ვერც ყიდვა, ვერც გაყიდვა, თუკი წინდაწინ მსხვერპლს არ შეწირავენ. ეს არის ანტიქრისტეს ის ბეჭედი, რომელიც ეძლევა ადამიანებს მარჯვენა ხელზე. ხოლო შუბლის ბეჭედი ნიშნავს, რომ ყველანი გვირგვინმოსილნი იქნებიან, თავზე ედგმებათ ცეცხლოვანი გვირგვინები, მაგრამ ეს არა სიცოცხლის, არამედ სიკვდილის გვირგვინები იქნება. ამგვარ რამეს განიზრახავდა იუდეველთა მიმართ ყოფილი სირიელი მეფე ანტიოქოს ეპიფანე, ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრე. მან, გადიდგულებულმა, გამოსცა განკარგულება, რათა ყველას სამსხვერპლოები გაეკეთებინა სახლის კარებთან, შეეწირათ მსხვერპლი, თავი სუროთი შეემოსათ და დიონისეს საპატივცემოდ ეზეიმათ, ხოლო ის, ვინც არ დაემორჩილებოდა ამ*

***განკარგულებას, ბრძანა წამებით მოეკლათ (იხ. 1 მაკაბ. 5:2; 2 მაკაბ. 6:7)*** (*Ипполит Римский, сщмч.* О Христе и антихристе, 49 // О Христе и антихристе. СПб., 2008. С. 241).

**ნილოს მირონმდინარის** (†1651) სიკვდილისშემდგომ უწყებებში" შედის წინასწარმეტყველება, სადაც მხეცის გამოსახულება (ნიშანი) ასეა აღწერილი: ***"როდესაც ადამიანი დაიდაღება, მისი გული კიდევ უფრო უგრძნობელი გახდება; დამშეული ადამიანები გვამებს მიესევიან, და სადაც მოუწევთ იქ დაიწყებენ მათ ჭამას. დასასრულ, ანტიტიპოსით აღბეჭდილნი თვითონაც მოკვდებიან; დაღზე კი დაწერილი იქნება: "მე შენი ვარ". – "დიახ, შენ ჩემი ხარ". – "ნებაყოფლობით მოვდივარ, და არა ძალდატანებით". – "მეც შენი ნებით გიღებ შენ, და არა ძალადობით". ეს ოთხი გამონათქვამი, ანუ წარწერა გამოსახული იქნება იმ წყეულ დაღზე"*** (Посмертные вещания прп. Нила Мироточивого, Афонского. Афон, 1912. С. 84-85).

სიტყვაში "სამყაროს აღსასრულის შესახებ" ანტიქრისტეს დაღზე ნათქვამია: *"მისი დაღი შუბლსა და მარჯვენა ხელზე შეადგენს ექვსას სამოცდა ექვსს (χξς). თუმცა, ზუსტად არ ვიცი როგორია ეს დაღი: შეიძლება ნაპოვნი იქნას მრავალი სახელი, რომელიც შეესაბამება ზემოხსენებულ რიცხვს; მაგრამ მაინც ვამბობ, ამ დაღს გააჩნია გამოხატულება:* ***"უარვყოფ"*** *(APNOYME). სინამდვილეში, უსჯულო მტერი თავის მსახურთა, ანუ უკეთურ კერპთმსახურთა მიერ, ადრეც არწმუნებდა ქრისტეს მოწამეებს სიტყვებით: "უარყავ ჯვარცმული ღმერთი". ასეთი იქნება სიკეთის მოძულე მტარვალის ნიშანიც და დაღიც - ის დაღი, რომელზეც გამოსახული იქნება:* ***"უარვყოფ ცისა და მიწის შემოქმედს; უარვყოფ ნათლისღებას;*** *უარვყოფ ჩემი ღმერთისადმი მსახურებას და* ***გიერთდები შენ, და მწამს შენი"*** *..."* (Ипполит Римский,

сщмч. О кончине мира, 28-29 // О Христе и антихристе. СПб., 2008. С. 285).

ზოგიერთი ამბობს, რომ ბეჭდის მიღების წინ ქრისტეს ღია უარყოფა არ მოხდებაო. ანტიქრისტეს ღმრთად მიღება და მისი თაყვანისცემა უკვე არის ქრისტეს უარყოფა, რასაც ქრისტე დიდი განკითხვის დროს ბეჭდის მიმღებთ ბრალად წაუყენებს.

"ბასილი ახლის მოწაფის გრიგოლ მონაზვნის ხილვაში, საშინელი სამსჯავროს შესახებ" თვით სიტყვა "უარყოფა", როგორც ანტიქრისტეს დაღი, დაწერილია უარმყოფელთა მარჯვენა ხელის დაფაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ, ისევე როგორც "სიტყვაში" ბეჭდის მიღება, უკავშირდება ქრისტესა და ნათლისღების პირდაპირ უარყოფას და ანტიქრისტეს ერთგულებისადმი ფიცის დადებას: ***"ამის შემდეგ უფალმა ერთნი დააყენა თავის მარცხნივ, შემდეგ მოვიდნენ სხვაზე უარესი მზაკვრები და შებილწულები, რომელთა მზერა სხვებზე ბნელი იყო და შუბლზე ეწერათ: "სატანა", მარჯვენა ხელზე ჰქონდათ დაფები, რომლებზეც დაწერილი იყო: "უარყოფა". მათ უფალმა მგრგვინავი ხმით უთხრა: "ო, წყეულნო და ბილწნო, რატომ უარმყავით მე და ჩემი წმიდა ნათლისღება შებილწეთ, მიხვედით ანტიქრისტესთან და მას უერთგულეთ, თქვენი წარწყმედის მოსურნეს, რა სიკეთეს ელოდებით მისგან, თუ არა მხოლოდ მარადიულ ტანჯვას: ამიტომაც არ შეგიწყნარებთ, არამედ მასთან ერთად გაგიშვებთ სატანჯველში, ის შეიყვარეთ და თქვენი საქმეების ნაყოფისაგან სჭამეთ"*** (Житие Василия Нового, 106 // Вилинский С. Г. Житие св. Василия Нового в русской литературе. Ч. 2: Тексты жития. Одесса, 1911. С. 718).

"სიტყვა სამყაროს აღსასრულის შესახებ" ("Слово о кончине мира") ასევე აღწერს იმათ დევნულებას, ვინც ანტიქრისტეს ბეჭედს არ მიიღებს: ***"დასასრულ, ის***

*(ანტიქრისტე) გააგზავნის დემონთა ურდოებს მთებში, გამოქვაბულებსა და ნაპრალებში... რათა მოძებნონ დამალულნი და მის თაყვანსაცემად მოიყვანონ. და აი, ყველა ის, ვინც არ ისურვებს ანტიქრისტესადმი დამორჩილებას, ისეთ ენით აუწერელ ტანჯვებს, უსასტიკებს წამებებსა და ყოველგვარ მზაკვრობებს დაექვემდებარება, როგორებიც ჯერ არ ყოფილა დედამიწაზე, რომლებიც არასოდეს სმენია კაცის ყურს და არასოდეს უხილავს ადამიანის თვალებს"* (Ипполит Римский, сщмч. О кончине мира, 29 // О Христе и антихристе. СПб., 2008. С. 286).

ამრიგად, ბეჭდის მიღება შეიცავს ქრისტესა და ნათლისღების უარყოფას და ანტიქრისტესადმი თაყვანისცემას. წმიდა მამები დაღის მიღებას ასევე უკავშირებენ ჯვრის გამოსახვის შეუძლებლობას, რაც მხეცის დაღის მნიშვნელოვან ნიშანს წარმოადგენს. აზრი დაღის გაუცნობიერებლად, ქრისტეს უარყოფის გარეშე მიღებისა და ასევე გაუცნობიერებლად ანტიქრისტეს თაყვანისცემის შესახებ ეკლესიისთვის უცხო სიახლე გახლავთ და, სამწუხაროდ, ამ სიახლის მიმდევარები საქართველოშიც გამოჩნდენ.

3. ვაქცინირება, თუნდაც ჩიპირება კი არ მიგვიყვანს ანტიქრისტემდე, არამედ ქრისტესგან განდგომილება, ქრისტეში ცხოვრების უარყოფა, ქრისტიანული სათნოებებიდან გადახვევა, უარის თქმა ქრისტეს მცნებებსა და ქრისტიანულ ცხოვრებაზე. ეს ყოველივე ჩვენში გამოიწვევს ანტიქრისტეს ჯერ სულიერ, შემდეგ კი ხილულ მიღებას. ჩიპირებებით ან შტრიხკოდებზე გამოსახული ექვსიანებით ან ელექტრობარათებით როდი მოხდება ანტიქრისტეს მიღება. ჩიპირება, ისევე როგორც კომპიუტერები, მობილურები, ტელევიზია და ა.შ. მხოლოდ ტექნიკური საშუალებებია, რომელთა გარეშე

კაცობრიობის უმეტესობას უკვე არსებობა ვერ წარმოუდგენია. ყოველივე ამას კი ანტიქრისტე, ბუნებრივია, თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენებს.

4. დღეს არსებული რომელიმე ვაქცინა რომ ანტიქრისტეს ბეჭედი არ არის, ეს იოანე ღვთისმეტყველის "გამოცხადებიდან" თვალნათლივ ჩანს, რადგან ბეჭედი ანტიქრისტეს გამეფების შემდეგ გამოჩნდება. ასევე გამოცხადებაში საუბარია ბეჭდის შემადგენელ სამ მახასიათებელზე. ესენია: **"ნიშანი", "სახელი"** და **"რიცხვი"**: ***"და ყვნეს ყოველნივე - მცირენი და დიდნი, და მდიდარნი და გლახაკნი, და აზნაურნი და მონანი, - რაჲთა მიიღონ ბეჭედი ჴელსა მათსა მარჯუენესა ზედა, ანუ შუბლსა ზედა მათსა. და რაჲთა არავის ჴელ-ეწიფებოდის სყიდად, ანუ განსყიდად, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მჴეცისა მის, ანუ რიცხჳ სახელისა მისისაჲ." (აპოკ. 13:16, 17).***

5. ანტიქრისტეს გამოჩენას წინ უნდა უძღოდეს მრავალწლიანი მოსამზადებელი პერიოდი, ომები და კატასტროფები. ღვთისმეტყველები მიიჩნევენ, რომ ანტიქრისტეს მოსვლისთვის მომზადება ჯერ კიდევ მოციქულთა პერიოდში დაიწყო. წმიდა წერილში ანტიქრისტეს გამოჩენის თარიღი მოცემული არ არის, მაგრამ გვაქვს **"ბოლო ჟამის ნიშანთა"** საკმაოდ ზუსტი აღწერა. თითქმის ყველა ეპოქა და თაობა ეძიებდა ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნებს და ანტიქრისტედ სხვადასხვა პირებსაც კი აცხადებდა.

თუ ვაქცინბეჭედოსანთა იმ სიტყვებს ვირწმუნებთ, რომ აცრა ანტიქრისტეს ბეჭდის მიღებას ნიშნავს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში მოსახლეობის ნახევარს, ხოლო სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში უმრავლესობას უკვე მიღებული აქვს ანტიქრისტეს

ბეჭედი, აღარას ვამბობთ არამართლმადიდებლებზე, სადაც პროცენტი კიდევ უფრო მაღალია. გამოდის, რომ მეორედ მოსვლა უკვე დაწყებულა და ჩვენ ვერაფერი გაგვიგია. ვაქცინბეჭედოსნები იმათაც ემსგავსებიან, რომელთაც ჰგონიათ, რომ ანტიქრისტე უკვე მოვიდა დედამიწაზე. ხან ვის გამოაცხადებენ მოშიახად და ხან ვის. საბედნიეროდ ეს ასე არ არის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ შევცდეთ ანტიქრისტეს პიროვნებაში, რადგან ეს საჭიროა ჩვენივე სულების ხსნისათვის. ამიტომ ნებისმიერი ყალბი მითითება მიუღებელია. ასევე მიუღებელია ბეჭედთან დაკავშირებული სიყალბე და უზუსტობა – ვინძლო ამან "მგელი, მგელის" ეფექტი არ გამოიღოს.

ა. უნგიაძე
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის თავმჯდომარე,
ფიზ.–მათ. მეცნიერებათა დოქტორი

წყაროები:

1. იოანეს გამოცხადება (აპოკალიპსისი)
2. http://www.apocalypse.ge/antiqriste_antiqristes_bechdis_cneba_saeklesio_ganmartebashi.html
3. https://pravblog.ru/bogoslovie/uchenie-tserkvi/ponyatie-pechati-antihrista-v-tserkovnom-tolkovanii/
4. „სიკვდილისშემდგომი შეგონებანი და წინასწარმეტყველებანი ღირსი მამისა ნილოს მირონმდინარისა-ათონელისა“

5. დეკანოზი ბორისი (მოლჩანოვი) - „ანტიქრისტე 666“
6. https://dailyexpose.uk/2022/01/18/the-plan-to-tag-us-for-the-new-world-order/